

ბედისწერის ფენომენისათვის ლაზურ ჯადოსნურ ზღაპრებში

ციალა ნარაკიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და
ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის
განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
ელ. ფოსტა: tsiala.narakidze@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0009-0001-6862-5977>

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია სოფელ სარფში მცხოვრები ლაზებისგან ჩაწერილი ზღაპრების მნიშვნელობაზე, რაც საშუალებას გვაძლევს, სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ ლაზური საზღაპრო ეპოსის განვითარების შესახებ. ძირითადად გაანალიზებულია ის ჯადოსნური ზღაპრები, სადაც საუბარია ბედისწერასა და მისი ზებუნებრივი, ადამიანური გონებისადმი მიუწვდომელი ძალის შესახებ.

ნაშრომში განხილულ ჯადოსნურ ზღაპრებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხალხური ეპოსის ეს უბანიც, ზეპირსიტყვიერ სხვა ჟანრებთან ერთად, საერთო ქართველურია და მათ პარალელები ეძებნებათ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც.

საკვანძო სიტყვები: ხალხური, ლაზური, ჯადოსნური, ზღაპარი, ბედისწერა.

* * *

შესავალი. ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსი თემატურად ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია; მათში წინა პლანზეა წამოწეული ის თემები და მოტივები, რომლებიც ლაზეთის ისტორიისა და ყოფისთვის არის დამახასიათებელი.

ლაზებმა გულმართლად გადმოსცეს მათი შეხედულებანი საზოგადოებაზე, ხალხთა ურთიერთობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე და ყველა იმ ზნეობრივ, თუ მანკიერ თვისებებზე, რაც იმთავითვე სდევს ყოველ საზოგადოებას და აფერხებს, ან ხელს უწყობს მის განვითარებას.

ლაზურ ხალხურ საზღაპრო ეპოსში მდიდრულადაა შემორჩენილი ზღაპრებში თავჩენილი ყველა ფენომენი, თუმცა ამჟამად განვიხილავთ ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენას – ბედისწერით დასაზღვრულობას, რაზედაც აგებულია არაერთი ჯადოსნური ლაზური ზღაპარი.

მეთოდოლოგია. აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ ემპირიული მასალის მოპოვებისათვის ფოლკლორში ნაცადი ყველა ხერხი, ასევე, ანალიზისა და შედარების მეთოდი.

მსჯელობა. ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში, განსაკუთრებით კი ჯადოსნურ საზღაპრო ეპოსში, შემორჩენილია ბედისწერისა და წინასწარმეტყველური სიზმრის რწმენა, რაც მჭიდროდ უკავშირდება ბედის, ბედისწერის რწმენას.

„მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის რწმენა-წარმოდგენაში ბედი (იღბალი, სვე, წერა) წარმოიდგინება ზებუნებრივ, ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელ ძალად, რომელიც წინასწარ,

დაბადებამდე განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას, გარდაუვალია და თავს ვერავინ აარიდებს“ (შიომვილი, 2002: 134).

მსოფლიოს უძველეს ხალხთა მსოფლმხედველობის თანახმად, ბედი განაგებს ყოველივე ცოცხალსა და არაცოცხალს ბუნებაში. ანტიკურ მითოლოგიაში უზუნაესი ღმერთებიც კი ბედის მონა-მორჩილები არიან; ...„ბედთან თვით ღმერთებიც კი ომობენო“ – ამბობდა პლატონი (გორონი, 1990:301). ამდენად, ამგვარი მსოფლგაგების თანახმად, ამაოა ადამიანის ყოველგვარი მცდელობა, შეცვალოს ბედისწერა, რადგანაც მისი ცხოვრების ყოველი დეტალი იმთავითვე დასაზღვრულია ბედისწერით, რასაც ვერავინ გაექცევა. ართურ შოპენჰაუერის იდეალისტური თვალთახედვით, ადამიანთა მისწრაფება ბედნიერებისადმი ამაოა, მას განაგებს ბედი, რომელიც „ქეჩოში ჩაგვავ-ლებს ხელს და გვიჩვენებს, რომ ჩვენდათავად არაფერიც არ შეგვიძლია, არამედ თვითონ განაგებს ყოველივეს“ (შოპენჰაუერი, 1994: 48).

სამყაროს კანონზომიერებათა შეცნობის ხანიერ გზაზე ადამიანის გონებამ ბედის მრავალნაირი ხატება შექმნა და ეს, თითქოსდა უხილავი, ძალა პერსონიფიცირებულიც კი გახდა. ამის მაგალი-თებია ქართული ხალხური ზღაპრები: „ბედი და იღბალი“, „ბედი“, „ბედის ჩამოსვლა დედამიწაზე“ და სხვა (ნარაკიძე, შიომვილი, 2015: 44).

ლაზურ საზღაპრო ეპოსში გავრცელებული ზღაპრებიც „კისმეტი“ („ყისმეთი“), „იგბალი“ („იღბა-ლი“), „ბედი დო იგბალი“ („ბედი და იღბალი“) და სხვა ბედისწერით დასაზღვრულობის აუცილებ-ლობაზეა აგებული.

საყურადღებოა, რომ ზეპირსიტყვიერებაში ბედისწერას უშუალოდ უკავშირდება სიზმრის ფენომენი, რაც „ქვეცნობიერ სფეროს ემპირიულ ყოფასთან აკავშირებს“ (შიომვილი, 2002: 138).

მსოფლიოს მრავალი ხალხის რელიგიურ-კულტურულ ყოფაში სიზმარს საკომუნიკაციო-პრო-ფილაქტიკური მნიშვნელობა ენიჭება; იგი მატერიალური რეალობის მიღმა არსებულ სამყაროსთან კავშირის საშუალებად არის დასახული. ამდენად, მიჩნეულია, რომ „სიზმრიდან გამოტანილმა აზრ-მა ხორცშესხმა უნდა პოვოს; ასეთია მოვლენათა სვლის ლოგიკური ხაზი ...ერთადერთი, რისი წყა-ლობითაც მოკვდავი თავისი მომავლის ამოხსნას ახერხებს, სიზმარია“ (არაბული, 1999: 10).

წინასწარმეტყველური სიზმრები ძალზე ხშირია, ქართულ ხალხურ საზღაპრო ეპოსშიც. მიუ-ხედავად იმისა, რომ ხალხური სიტყვიერება და მით უფრო - მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრი - ზღაპარი იცნობს სიკეთისმომტან, კეთილბოლოიან სიზმრებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სიზმრისეული ბედისწერის აღსრულება უფრო ხშირია; სწორედაც, ამ ფენომენის წარმოჩენას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი ლაზური ჯადოსნური საზღაპრო ეპოსის მაგალითებზე, რაც ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომის არქაულ რწმენა-წარმოდგენათა ნათელი დემონსტრირებაა.

ლაზური ჯადოსნური ზღაპარი „კისმეტი“, რომელიც 1982 წელს ჩავიწერე სოფელ სარფში, მოგვითხრობს: ხელმწიფის ახალშობილ გოგონას მათხოვარმა უწინასწარმეტყველა, ასაკიან კაცს მისთხოვდებო. ხელმწიფის ცოლსაც გამუდმებით ესიზმრებოდა, რომ მისი ქალიშვილის ბედი მათი ასაკოვანი არაბი მსახურია და დარდისგან ლოგინად ჩავარდა. ექიმები ვერაფერს შველოდნენ. ერთმა ექიმმა წამალი მიასწავლა:

„ – მქუას თოლინა გÁულენ ემეის ქამი ენ“ („...მზის თვალი რომ ჩადის, იქ არის წამალიო“).

წამლის მოსატანად გაგზავნეს არაბი მსახური. გზად მოხუცებული კაცი შეხვდა და უკან დააბრუნა, უთხრა:

„ – დაწერილი არ დაიშლებაო“.

არაბმა წყაროსთან დაისვენა, წავიხემსებო. ხელები დაიბანა და გათეთრება დაეწყო, პირი დაი-ბანა და მთლიანად გათეთრდა. ხელმწიფესთან მისული არაბი ვერ იცნეს; მოხუცის დანაბარები რომ უთხრა, ქალიშვილი მიათხოვეს.

ამ ზღაპრის ვარიანტს იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც. ერთ-ერთი ნარატივის სახელწოდებაა „მუსა ფელამბერი“ (ბსკიფა, საქმე №135: 87). ლაზი მეზღაპრისეული სენტენციის გამოხატულებაა: „ბედი არ შეიცვლება“.

მუსა ფელამბერს ძალიან ლამაზი გოგო ჰყავს. ქვეყანას მოივლის მამა და ეძებს კარგ სასიძოს, მაგრამ გოგო-ბიჭის ბედისმჭედელმა კაცმა უთხრა, რომ მისი გოგოს ბედი მისივე მეყაზ-მებატე მწყემსი იყო. მუსამ გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა ეს მებატე მწყემსი და გაგზავნა ღმერთთან ქალღმერთ ბეჭდის დასასმელად. ამ დავალების შესრულებისას ეს ბიჭი გამდიდრდა, გალამაზდა და დაბრუნდა ოქროთი დატვირთული ერთი აქლემით.

ყოფილი მებატე არ ეახლა მუსა ფელამბერს, ააშენა დიდებული სასახლე და შემდეგ ითხოვა მუსას გოგო. სასიძამრომ ვერ იცნო თავისი გამდიდრებული მებატე სიძე, მაგრამ, როცა მოიკითხა ვინაობა, სიძემ უჩვენა ღმერთთან მისი გატანებული ქალღმერთი. მიხვდა გოგოს მამა, ვინც იყო მისი სიძე, თავში ხელი შემოირტყა და თქვა:

„– მე ღმერთი გავანაწყენე: თურმე იღბალს არაფერი ეშველება, იღბალი არ შეიცვლებაო“.

სოფელ სარფში ჩაწერილი ზღაპარი „იგბალი“ („იღბალი“) „ბედისმწერლებს“, ანუ ზოგადქართულ ფოლკლორში ცნობილ „წერა-მწერლებს“ წარმოგვიჩენს. ლაზთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ისინი ზღვის ფსკერზე მდებარე სახლში ბინადრობენ და ჩაქუჩის (უროს) დარტყმით ახალდაბადებულ ბედს ქედავენ. სწორედ, მათგან გაიგო ხელმწიფის ცოლმა თავისი მაზლის მომავალი საბედოს შესახებ. ზღაპარი მოგვითხრობს, რომ მეფის ძმა დასაქორწილებელი იყო და არც ცდილობდა დაოჯახებას. ხელმწიფის ცოლმა, რომელიც კეთილი ადამიანი იყო, წელზე ჯაჭვი მოიბა, ზღვის ფსკერზე ჩავიდა და იმ სახლში შევიდა. დაინახა, რომ ორი კაცი ჩაქუჩს ცარიელ ადგილზე აკაკუნებდა.

„– ეს რა არის, რას აკეთებთო?“ – იკითხა.

„– კაცი რომ დაიბადება, იმის ბედს ვქედავთო,“ – უთხრეს კაცებმა.

ხელმწიფის ცოლმა მაზლის ბედის ამბავი იკითხა.

„შორს, იმ გორის უკან, ერთი გოგონა დაიბადება და იმის საბედო ის არისო,“ – უთხრეს.

მართლაც, დიდი თავგადასავლის შემდეგ, ბედის მჭედლების ნათქვამი აღსრულდა; ზღაპრის ბოლო აკორდიც ეს არის: „კისმეტი ვარ ნიჭკიეტენა“ („ბედი არ დაიჭრება“). ლაზი სახალხო მთქმელისეული ეს დასკვნა ზოგადქართული (ზოგადკაცობრიულიც) მსოფლმხედველობის გამოხატულებაა.

ბედისწერის ფენომენტთან დაკავშირებით საინტერესოა ზღაპარი „ბედ-იგბალი“ („ბედ-იღბალი“), რომელიც ჩაიწერა სარფში ლაზური ფოლკლორის მკვლევარმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ თანდილაძემ (თანდილაძე, 1970: 71), წინასწარმეტყველს ჰკითხეს:

„– არსებობს თუ არა ბედ-იღბალიო?“

წინასწარმეტყველმა უპასუხა:

„– ღმერთი ადამიანს დაბადებისთანავე დაუწერს ყველაფერს, ეს არის ბედ-იღბალი და იგი ყველას ზუსტად უსრულდებაო.“

ამას ყური მოჰკრა ერთმა არწივმა, სოფლიდან გაიტაცა ქალიშვილი, წაიყვანა უკაცრიელ კუნძულზე და დასვა ძალიან მაღალი ხის კენწეროზე, სადაც ადამიანები ვერ აღიოდნენ. საჭმელ-სასმელს არ აკლებდა, კარგად უვლიდა.

„– თუ წინასწარმეტყველის ნათქვამი სწორია, ამ ქალიშვილის იღბალი აქაც მოვაო“ – ფიქრობდა არწივი.

ერთ-ერთი ქვეყნის ხელმწიფის შვილი, მოგზაურობის დროს, მოადგა ამ უკაცრიელ კუნძულს; დაინახა ხეზე ქალიშვილი და მოეწონა.

გოგონას ეშმაკობითა და დახმარებით ვაჟი აღმოჩნდა ხის კენჭეროზე, გოგონას ცოლობა სთხოვა და ისიც დაეთანხმა. არწივმა რომ დაინახა ხეზე ასული ვაჟი, დარწმუნდა, რომ ბედ-იღბალი, მართლაც, არსებობს, ქალ-ვაჟი ზურგზე შეისვა და გაფრინდა მეფის სამფლობელოსკენ, საიდანაც ის ვაჟი იყო მოსული.

განხილული ლაზური საზღაპრო ეპოსის ნიმუშები მოწმობს, რომ ბედისწერით დასაზღვრული აუცილებლად უნდა აღსრულდეს, ადამიანს არ ძალუძს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

დასკვნა. ამრიგად, ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსიც, მსოფლიოს სხვა ხალხთა ზღაპრებისა თუ სხვა ჟანრის ფოლკლორული ნიმუშების დარად, ადასტურებს სიზმრებითა თუ ბრძენთა გუმანით ნაწინასწარმეტყველებებით ბედისწერის აუცილებელ აღსრულებას. ეს ფენომენი კი საუკუნეთა განმავლობაში სისტემად ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობად იქცა. სწორედაც, ხალხის მიერ ამ პრობლემის რეალისტურად გააზრების ნიმუშებია ჩვენს მიერ მოხმობილი ლაზური ხალხური ზღაპრებიც, რომლებიც ამ თვალსაზრისით გენეტიკურ კავშირშია ხალხურ ფოლკლორულ ლირიკასთან:

კაცი რომ დაიბადება
თვისა და წლისა სავალსა,
ღმერთი მაშინვე დაუწერს
თავის თავგადასავალსა.
(ქ.ხ.პ., 1984: 17)

გამოყენებული ლიტერატურა:

- არაბული, 1999 – ამირან არაბული, „ბედის გაგება ქართულ ფოლკლორში“ – ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XX, თბილისი, 1999;
- Горан, 1990 – В. П. Горан, Древнегреческая Мифологема Судьбы, Новосибирск, 1990;
- თანდილავა, 1970 – ზურაბ თანდილავა, „ლაზური ზღაპრები“, თბილისი, 1970;
- ნარაკიძე, შიოშვილი, 2015 – ციალა ნარაკიძე, თინა შიოშვილი, „სარფი“, ბათუმი, 2015;
- ქ.ხ.პ., 1984 – ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, თბილისი, 1984;
- შიოშვილი, 2002 – თინა შიოშვილი, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, წიგნი I, თბილისი, 2002;
- შოჰენჰაუერი, 1994 – არტურ შოჰენჰაუერი, „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, თბილისი, 1994.